ფედერაციის თასზე

დაიწყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, 21 სექტემბერს შედგა პირველი ტურის შეხვედრები.

სასტარტო ტურის მატჩების შედეგები ასეთია: „ტორპედო“ (ქუთაისი) – „დინამო“ (თბილისი) 0:0, „ნეფთჩი“ (ბაქო) – „არარატი“ (ერევანი) 1:3, „შახტიორი“ (დონეცკი) – „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) – „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 7:1.

ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩში ორივე გუნდის მწვრთნელებმა უმთავრესად ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოიყვანეს მინდორზე. ეს გამოწვეული იყო, ჯერ ერთი, იმით, რომ როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს საკმაოდ ჰყავთ დაშავებული ფეხბურთელები. გარდა ამისა, რამდენიმე მოთამაშე გაწვეულია სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში და, საერთოდ, ამ ახალი შეჯიბრების დებულება ახალგაზრდა ფეხბურთელთა საბრძოლო გამოცდასაც გულისხმობს.

ახალი თასის შეჯიბრება მიძღვნილია სსრ კავშირის საკლუბო ჩემპიონატების 50 წლისთავისადმი, მაგრამ შესაძლოა შემდგომში იგი ტრადიციად იქცეს. უმაღლესი ლიგის მწვრთნელები მომხრენი არიან, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი ჩატარდეს რეგულარულად, ყოველ წელიწადს.

საყურადღებოა, რომ ამ გათამაშებაში ძალაში რჩება წესრიგის დამრღვევი ფეხბურთელების მიმართ სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებში გამოტანილი სანქციები. ე.ი. თუ ფეხბურთელს უწინ მიღებული ჰქონდა გაფრთხილება და ფედერაციის თასის მატჩშიც დაიმსახურა ყვითელი ბარათი, იგი გააცდენს მორიგ კალენდარულ შეხვედრას.

ქუთაისისა და თბილისის ფეხბურთელთა მატჩი ვერ გამოირჩეოდა სანახაობრივი თვალსაზრისით. მინდორზე მიმდინარეობდა უინტერესო პოზიციური ბრძოლა. ბურთი უმეტესად ცენტრში ტრიალებდა. მწვავე მომენტები არ შექმნილა არც ერთ კართან. ერთი სიტყვით, ნულოვანი ფრე ზუსტად შეესატყვისება თამაშის შინაარსს.

გუნდების შემადგენლობანი:

„ტორპედო“ - მიქაძე, ფრუიძე, ჭელიძე, გიგატაძე, თევზაძე, პაპავა, კორღალიძე, ხუნდაძე, ტყავაძე, მანაგაძე, შენგელია;

„დინამო“ - ბალაძე, მიქაბერიძე, თარბა, ჩეკუნოვი, მახარაძე, გოგრიჭიანი, სვანაძე, ჟორდანია (ფანცულაია), ცაავა (ბიგვავა), გურული, რევიშვილი (ჯოხაძე).

იმსაჯა თბილისელმა გ. სეფიაშვილმა.

ლელო 23.09.1986